პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 12 აპრილი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე

ფასი 3 კაპ. თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 80 (778) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, 13 აპრილს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში დანიშნულია ტფილისის აღმასკომის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1. მოხსენება შინა ვაჭრობის შესახებ.
2. მოხსენება სექციების ორგანიზაციის შესახებ.
3. მოხსენება საბჭოსა, აღმასკომისა და სექციების სხდომების დანაწილების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი.

## ერიოს მთავრობის აღსასრული.

დაეცა ერიოს მთავრობა. ფრანკის დაცემამ ქვეშ მოიყოლა ის. თავისი გაუბედავი, უსუსური პოლიტიკით ერიომ არამც თუ ვერ შესძლო შეეჩერებია უფსკრულისკენ დაქანებული ფრანკი, პირიქით, ხელი შეუწყო მისი კატასტროფის დაჩქარებას.

ამაოდ სცდილობდა ერიო ძალა-უფლების შენარჩუნებას. მან გადააყენა ფინანსთა მინისტრი კლემენტალი, რომელმაც უზომოდ ამუშავა ფრანკის საბეჭდი დაზგა, და მის ალაგას დააყენა დე-მონზი.

ამ უკანასკნელმა წამოაყენა თავისი, ფინანსიურ რეფორმის გეგმა, მაგრამ ესეც გაუბედაობაზე და უმოქმედობაზე იყო აგებული. ყოველივე ამან საბაბი მისცა მსხვილი ბურჟუაზიის პარტიას ეროვნულ ბლოკს დაეწყო გადამწყვეტი ბრძოლა ერიოს მთავრობის წინააღმდეგ.

და მან კიდეც მიაღწია თავის მიზანს.

ერიოს მთავრობის დაცემით ინგრევა ევროპაში პაციფიზმის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე. უფრო მართალი რომ ვსთქვათ ერიოს მთავრობა კარგა ხანია აღარ იყო პაციფისტური. ინგლისში, მაკდონალდის დაცემით დაწყებულმა რეაქციამ ჯერ კიდევ მაშინ აიძულა ერიო საგრძნობლად მოებრუნებია მარჯვნივ თავისი პოლიტიკის ბორბალი.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ერიოსა და მის მთავრობას მაინც შერჩათ წვრილ ბურჟუაზიული თვისებები, როგორც მაგალითად მერყეობა პოლიტიკურ კურსის აღებაში, და მუდამ ორ სკამს შუა ჯდომა: ერთი სიტყვით ყოველივე ის რაც საუცხოოდ ეჯავრება საფრანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას.

და ერიოც გადავარდა. არც ერთი თავისი დაპირება მშრომელთა მასებისადმი, როგორც მაკდონალდს, მას არ შეუსრულებია.

ძალა-უფლების სათავეში ყოფნის დროს, ის მუდამ მოქმედებდა ბურჟუაზიის სასარგებლოდ და პროლეტარიატის წინააღმდეგ. და როცა ის აღარ დარჩა საჭირო, ბურჟუაზიამ შორს გადაისროლა ის.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, თუ ვის მიანდობენ ახალი კაბინეტის შედგენას. მაგრამ ერთი ცხადია: საფრანგეთის მომავალი მთავრობა გადამდგარ მთავრობაზე უფრო მემარჯვენე იქნება და მას ხელს შეუწყობს ნაციონალური ბლოკი. ის იქნება რეაქციონური. აქედან დასკვნა საფრანგეთის პროლეტარიატისათვის: კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მტკიცედ შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები და დაიწყონ რევოლიუციონური ბრძოლა როგორც ბურჟუაზიის, ისე ყოველი შემთანხმებლების წინააღმდეგ, როგორიცაა ერიო და გამყიდველი სოციალისტები, რომლებიც თავის მოქმედებით ხელს უწყობენ კაპიტალის ბატონობის განმტკიცებასა და მუშათა კლასის დამონავებას.

ეს ნათლად დაამტკიცა მემარცხენე ბლოკის მთავრობის საქმიანობამ.

## გინდენბურგის გამარჯვება-მონარქიის აღდგენის ნიშანია.

პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გერმანიაში უშედეგოთ დამთავრდა. ის, ასე ვსთქვათ, ერთგვარი საცდელი საშვალება იყო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ძლიერების გასასინჯავად.

და მართლადაც გამოირკვა, რომ ძალთა განწყობილება ისეთია, რომ შეუძლებელია წინასწარ იმის თქმა ვისი კანდიდატი გავა—მსხვილი, მონარქისტულად განწყობილ ბურჟუაზიის თუ საშუალოსი. პირველი არჩევნების ასეთ დასრულებამ ცხადია სწრაფად აამოქმედა პოლიტიკური პარტიები.

ისინი უკვე შეუდგენ გაფაციცებით მზადებას მეორე არჩევნებისათვის, რომელიც მიმდინარე თვეში შესდგება. ენერგიულად ემზადება მსხვილი ბურჟუაზიაც და მსხვილი მემამულეები, რომლებმაც ახალი კანდიდატი წამოაყენეს. ეს არის ღენერალი გინდენბურგი, იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი გმირი და ყოფილი კეიზერ ვილგელმის მარჯვენა ხელი.

უკვე ეს ცნობები საკმაოდ გველაპარაკება იმას, თუ რას მოასწავებს ღენერალ გინდენბურგის პრეზიდენტობა. გინდენბურგის გამარჯვება არჩევნებზე ნიშნავს სამხედრო დიქტატურას გერმანიაში, მსხვილი კაპიტალის მიერ თავაშვებულად მუშების გაყვლეფას და მათი პოლიტიკურად საბოლოო დამონავებას. და ბოლოს გინდენბურგის—ბატონობა მოასწავებს მონარქიის გამარჯვებას.

უნდა ითქვას, რომ გინდენბურგის კანდიდატურის წინააღმდეგ ილაშქრებენ საშუალო ბურჟუაზიის და წვრილ ბურჟუაზიის პარტიები. ასეთები არიან: ცენტრის პარტია, სოციალ-დემოკრატია და დემოკრატები, რომლებიც ერთად შეადგენენ ეგრედ წოდებულ ვეიმარის კავშირს.

საშუალო ბურჟუაზია დაინტერესებულია, რომ მშვიდობიანი დამოკიდებულება იქონიოს ანტანტასთან და არ გაართულოს ის. გინდენბურგი კი ამ მხრივ სრულიად არ არის სასურველი კანდიდატი, ვინაიდან ის, როგორც სოციალ-დემოკრატიის ორგანო „ფორვერტსი“ ლაპარაკობს, „არის მონარქიის და ომის სიმბოლოო“.

მაგრამ საშუალო ბურჟუაზიის პარტიების და სოციალ-დემოკრატიის ბრძოლა გინდენბურგის კანდიდატურის წინააღმდეგ სრულიად არ ნიშნავს მას, თითქოს ისინი უკეთესები არიან და იზრუნებენ მუშებისათვის. სრულიადაც არა. როგორც მსხვილი ბურჟუაზია, ისე საშუალოც—ორივენი დაუძინებელი მტრებია მუშათა კლასის. თუ ისინი დღეს ებრძვიან ერთმანეთს არჩევნებში, ეს აიხსნება მათი ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობით.

აი რას ამბობს გერმანიის კომუნისტური გაზეთი „როტე ფანე“: „გინდენბურგის პროგრამა იგივეა, რაც მარქსისო“ (საშუალო ბურჟუაზიის კანდიდატია).

ამიტომაც გერმანიის პროლეტარიატმა მტკიცედ უნდა დარაზმოს თავისი რიგები კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ და ენერგიულად შეუტიოს, როგორც მსხვილი ბურჟუაზიის, ისე საშუალო ბურჟუაზიის დიქტატურასაც.

—ე.

# ახალი რადიო--ამბები

## ერიოს კაბინეტი გადადგა.



ე რ ი ო.

საფრანგეთის სენატმა 156 ხმით 132 ს წინააღმდეგ უარყო ერიოს მთავრობისადმი ნდობის რეზოლიუცია და შემდეგ მიიღო უნდობლობის რეზოლიუცია.

ერიომ და დანარჩენმა მინისტრებმა გადასცეს განცხადება გადადგომის შესახებ პრეზიდენტ დუმერგს, რომელმაც მიიღო კაბინეტის გადადგომა.

## გამოუვალი მდგომარეობა.

პალატაში დიდი მღელვარება გამოიწვია საფრანგეთის ბანკის კვირეული ბალანსის გამოცხადებამ, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქაღალდის ფულის რაოდენობა აღწევს 48 მილიარდს, რომელიც აღემატება ნორმას 2 მილიარდით. ამ გარემოებამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა ერიო და დემონზი.

## საფინანსო კომისიის დადგენილება.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიამ დაადგინა დაუყონებლივ მიემხროს ფულის ტრიალს იმ პირობით, რომ ფინანსიური გაუმჯობესების კანონი შევა ძალაში არა უგვიანეს 1925 წლის ივლისისა.

## სილა--ერიოს.

ფრანსუა მარსელმა დაასაბუთა სენატში შეტანილი შეკითხვა ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ წინა მთავრობები, არას დროს არ გადასულან ქაღალდის ფულის გამოშვების ნორმასო.

## შვეციაში გაიფიცა 7.000 მეზღვაური.

შვეციაში დაიწყო მეზღვაურთა გაფიცვები. ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცულია 7.000 მეზღვაური.

## გერმანიის „ჩეკას“ გასამართლება.

### „ჩვენ მაინც ჩვენი გზით ვივლით“.

დამცველმა ვოლფმა ილაპარაკა რამოდენიმე საათი და დაამტკიცა საბრალმდებლო მასალების სრული სიყალბე.

ვოლფმა განაცხადა, რომ ეგრედ წოდებულ გერმანიის „ჩეკას“ გასამართლებას საბაბი მისცა არა კომპარტიის საქმიანობამ, არამედ მხოლოდ ნეიმანის სულით ავადმყოფობამ. ნეიმანს არას დროს არ მიუღია დავალება კომპარტიისაგან.

შემდეგ მან განაცხადა, რომ როგორც კომუნისტს, არ სურს სთხოვოს ბურჟუაზიულ სამართლოს პატიება და გაათავისუფლოს ის ტერორისტული განაჩენისაგან.

„ასეთი მოპყრობა—მმართველ კლასის მხრივ—განაცხადა მან—საამაყოა ჩვენთვის, კომუნისტებისათვის. ჩვენ მაინც ჩვენი გზით ვივლით. ვერაფერი ვერ აიძულებს კომუნისტებს შეაწყვეტინოს მათ ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურისათვის, რევოლიუციონური სამართლიანობისა და მშრომელთა ლუკმა-პურისათვის“.

## პატრი უსსასი.



ეს კათოლიკური მღვდელი პოლონეთის მთავრობის წარმომადგენლად იყო ლენინგრადში. მისი ოფიციალური მოვალეობა იყო საბჭოთა რუსეთში დარჩენილ პოლონეთის ქვეშევრდომთა სამშობლოში გადაგზავნა, მაგრამ ამის ნაცვლად ის მასთან მისულ მთხოვნელ ქალებს აწამებდა ფიზიკურად თავისი სქესობრივ ჟინის დასაკმაყოფილებლად. და ვინ იცის ეს სანამ გაგრძელდებოდა რომ ის თავის დროზე არ გაეგო საბჭოთა სასამართლოს. ეს ვექბატონი უნდა გადაეცვალა საბჭოთა მთავრობას პოლონეთის სახელოვან რევოლიუციონერებზე ამხ. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩზე, მაგრამ საზღვარზე რამდენიმე ვერსის მოშორებით ისინი მხეცურათ იქნენ მოკლული პოლონეთის ბურჟუაზიის აგენტების მიერ. პატრი უსსასი. დააბრუნეს ლენინგრადში, სადაც მას გაასამართლებენ და ღირსეულ სასჯელს აკუთვნებენ.

# ა. კ. საბჭოთა მე-3 ყრილობა.
## საზეიმო გახსნა.

10 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიხსნა ა. კ. საბჭოთა მე-3 ყრილობა.

ყრილობა გახსნა ამხ. ალამალი ოღლიმ, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა ყრილობის მნიშვნელობა და მის მიერ გადასაწყვეტელი ქვეყნის საკეთილდღეო საკითხები.

გაუმარჯოს ჩვენს მთლიანობას, გაუმარჯოს ა. კ. რესპუბლიკების ძმურ კავშირს—დაასრულა სიტყვა ამხ. ალამალიოღლიმ, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალი".

ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დაღუპულ ამხანაგების ნარიმანოვის, მიასნიკოვის ათარბეგოვისა და მოგილევსკის ხსოვნას.

**საპატიო თავმჯდომარენი.**

საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობამ აირჩია ამხ. ამხ. კალინინი, რიკოვი, სტალინი, ზინოვიევი და კამენევი.

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ ერთხმად აირჩია ამხ. ამხ. ამბარცუმიანი, ალამალიოღლი, არზრუმიანი, ამატუნი, ბურჯანაძე, ბუნიატ-ზადე, ბაგიროვი, ველიკანოვი, გუსეინოვი, გეგეჭკორი, კორკი კახიანი, ყურულიშვილი, კიროვი, ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, ელიავა, ნაზარეტიანი, მიხა ცხაკაია, ორახელაშვილი და სხვ. სულ 55 კაცი. სამდივნოში კი 10 კაცი.

ამასთანავე მოხდა სამანდატო და სარედაქციო კომისიების გადარჩევა რის, შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი **დღის წესრიგი:**

1) ა. კ. მთავრობის მოხსენება 2) 1925—26 წლ. სასოფლო სამეურნეო გადასახადების შესახებ. 3) ა. კ. სას. სამ. ბანკის მუშაობა. 4) ა. კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება 5) წითელი ჯარი 6) ა. კ. ცაკის არჩევნები 7) საკავშირო ყრილობის დელეგატთა არჩევნები. 8) მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა.

## ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება.

**ჩვენი ფედერაცია.**

ამხანაგებო, ჩვენს ფედერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს.



ის არის ეროვნული მშვიდობიანობის და პოლიტიკურ—სამეურნეო ძლიერების ნამდვილი იარაღი.

**ფულის რეფორმა.**

გასულ წელს ჩატარდა ახალი ფულის რეფორმა, რომელმაც სავსებით განამტკიცა ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა. ამით შევძელით წინ წაწევა ჩვენი სასოფლო მეურნეობისა

**მეურნეობა.**

ჩვენი მეურნეობა თანდათან ჯანსაღდება და სწრაფად იზრდება. ეს კი თავდებია, ჩვენი ეკონომიური ძლიერებისა.

**ტრანსპორტი.**

ჩვენი ტრანსპორტი გაძლიერდა. იგი დაუბრუნდა თითქმის ომამდე არსებულ ხანას. ამ დარგში სავსებით უმჯობესდება ჩვენი მდგომარეობა, ეს კი ნიშანია მისი, რომ ჩვენ ტრანსპორტი უფრო უკეთეს მიღწევებს და ნაყოფს გამოიღებს.

**ნაციონალიზაცია.**

გასულ წელში ჩვენ ჩავატარეთ გაეროვნება, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო ჩვენ განვაგრძობთ ამ საქმეს. განსაკუთრებით თურქებში და ახლო ხანში აზერბეიჯანის რკ. გზ. ხაზზე გვეყოლება თურქმუშაკთა საკმაო კადრი.

შემდეგ ამხ. მ. ორახელაშვილი შეეხო ჩვენ მეურნეობის ყოველივე დარგის მუშაობას და აღნიშნა მასში საგრძნობი მიღწევები, რომელსაც ახლა ადგილი აქვს. მომხსენებელმა აღნიშნა სასოფლო მეურნეობისა და მიმოსვლის საქმის თანდათანობრივი გაუმჯობესება.

ამ დარგების განსავითარებლად არის მოწყობილი სათანადო ქარხნები და ფაბრიკები, როგორც მაგ. ბამბის, თამბაქოსა თუჯის და სხვა.

მომხსენებელი შეეხო დაწვრილებით შინა-ვაჭრობის საქმეს, შინაურ ბაზარს, პურის საკითხს, საქონლის ბრუნვას და კოოპერაციის მუშაობას, სადაც აღნიშნა მნიშვნელოვანი მიღწევები.

**მე-2 სხდომა 11 აპრილი.**

დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების გარშემო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ადგილებიდან.

ისინი აღნიშნავდენ სასოფლო—სამეურნეო გადასახადების ზოგიერთ უარყოფით მხარეებს, მოითხოვდენ მის შემსუბუქებას. ზოგი მათგანი აღნიშნავდა ცენტრსა და ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის საჭირო კავშირის განმტკიცებას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: დვალმა, (სვანეთიდან) ალი ტაგი-ზადემ (აზერბეიჯანი) მალხასიანცმა (სომხეთიდან) ელისაბედაშვილმა (კახეთიდან) ბახტაძემ (აფხაზეთიდან), მამედ ხანოვმა (აზერბეიჯანიდან) აირაპეტიანი (სომხეთიდან) მამედ გოგიბერიძემ (აჭარიდან), ელიოზოვმა (ქურთისტანიდან), მამედ საიდ-სიამოვმა, (აზერბეიჯანიდან) დევდარიანმა (შორაპნის მაზრიდან) და სხვა.

კამათმა ცხოველი შინაარსის ხასიათი მიიღო ყველა დელეგატები ლაპარაკობდენ თავიანთ კუთხის ყოფა—ცხოვრების საკითხებზე და მოითხოვდენ ზოგიერთ ეკონომიურ საკითხების მოგვარებას.

# სამხედრო საქმე
## გუნდის, მწყობრის და განყოფილების მოთავსება თავდაცვის დროს.

მსროლელთა გუნდი მოთავსდება მთავარ წინააღმდეგობის ზოლში და გამოჰყოფს ერთ მწყობრს თავდაცვის ზოლში. ადგილ—მდებარეობასთან და ამოცანასთან შეფარდებით, მწყობრების უბანთა შორის მანძილი ფრონტით უდრის 500-დან 750 მეტრამდი (680-1020 არშ.)

თავდაცვისთვის მოთავსებულ გუნდის თვალი და ყური—მზვერავთა ჯგუფი (განყოფილება) გამოიყოფა გუნდის შემადგენლობიდან.

მწყობრი, რომელიც ღებულობს უბანს თავდაცვისათვის იკავებს მას, მაგრდება და იცავს როგორც არ უნდა დაუჯდეს, უკანასკნელ მეომრამდი.

თუ მწყობრი იმყოფება სადარაჯო ზოლში, მას ეკისრება პასუხის მგებლობა მასზე მინდობილ უბნის სავსებით დაცვაში. მწყობრი, წინა მდებარე ადგილების სათვალთვალოდ, გამოჰყოფს სადარაჯო განყოფილებებს. ეს სადარაჯო განყოფილებები გამოიყოფიან მწყობრის გულიდან (განყოფილება ან მეტი, რომელიც დარჩენილია მწყობრიდან) წინ და განშორდებიან ერთი-მეორეს არა უმეტეს ერთი სათოფე მანძილისა (400—500 მეტრი ე. ი. დახლოვებით-540 680 არშ.)

წინ გაგზავნილი მოდარაჯე განყოფილებები ამოირჩევენ და დაიკავებენ მოხერხებულ ადგილებს სათვალთვალოდ და საჩქაროდ გამაგრდებიან. მწყობრის გულისა და მოდარაჯე განყოფილებების ამოცანაში შედის: თვალყური ადევნონ ყველაფერს წინ მარჯვნივ და მარცხნივ და არ მისცეს საშვალება მტრის პატრულებს შემოიპარონ თავისი ნაწილის მიერ დაკავებულ უბანში.

მტრის შეტევაზე გადმოსვლის დროს სცდილობენ შეაჩერონ ის, ხოლო თუ ეს არ შეიძლება აიძულონ მტერი—გაიშალოს და გამოააშკარავოს თავისი ძალები და განზრახვა.

სხვა მდგომარეობაა, როცა მწყობრი იმყოფება მთავარ წინააღმდეგობის ზოლში. აქ უკვე განყოფილებები მოიწყობიან პოზიციაზე ისეთი წესით, რათა არ დარჩეს არც ერთი ადგილი, რომელსაც ცეცხლი არ მისწვდეს.

ტყვიამფრქვევებისა და განყოფილებების მოთავსებით უნდა შეიქმნას ცეცხლის ისეთი ურთიერთ კავშირი, რომ საიდანაც არ მოადგეს მტერი, ყოველგან უნდა მიიღოს მან ძლიერი წინააღმდეგობა რამოდენიმე მხრიდან. მაგრამ ცეცხლის ასეთი ურთიერთ კავშირის შექმნის მიზნით, უნდა მოთავსდეს არა ყველა ერთად, არამედ ცალკ-ცალკე, განყოფილებებად, ერთი მეორესაგან არა ნაკლებ 30 სა (40 არშ.) და არა უმეტეს 200 მეტრის (220 არშ.) მოშორებით.

მთავარ წინააღმდეგობის ზოლში მყოფ მწყობრის ამოცანაში შედის: არ მისცეს საშუალება მტერს შემოიჭრას ზურგში და შეაჩეროს მისი შემოტევა, სანამ მთავარი ძალები მიეშველებოდენ.

## ქიმია ცხოვრებაში.

ქიმია ბუნების მეტყველების ერთ-ერთ მეცნიერებათაგანია, ამისათვის მისი ამოცანაა ბუნების შესწავლა.

ქიმია არის მეცნიერება, რომელიც გვასწავლის საგნების თვისებებს და შემადგენლობას, მათი ერთმანეთზე მოქმედებას და მიღებულ ახალ ნივთიერების სახეს.

ქიმია ადამიანის ცხოვრების მთავარი ელემენტია და ჩვენი სიცოცხლის 90 პროც. ქიმიურ პროცესებისაგან შესდგება:

პურის მოზელა—გამოცხობა, ლობიოს, კარტოფილის მოხარშვა, ღვინო არაყის გამოხდა და აქ სრული ქიმიური პროცესები ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ადამიანს ავნებდა.

ქიმიის საშუალებით აგრეთვე კეთდება: წუმწუმა, სანთელი, შაქარი და სხვ., რომელიც ძველი დროის ცხოვრებისათვის მიუღწეველი იყო. ალქიმიკოსების (ძველი ქიმიკოსები) ცდები მრავალ გვარი იყო, ქიმიის გამოყენებაში, როგორც მშვიდობიანი აგრეთვე სამხედრო საქმისათვის; „ბერძნული ცეცხლი" მე-6 7 საუკუნის ქიმიკოსების მუშაობის შედეგი იყო.

მე-XIX საუკუნეში კი ქიმ[ია] როგორც მეცნიერება ჩამო[ყა]ლიბებულ სახეს ღებულობ[ს] რომელიც გვაძლევს ლითონ[ე]ბის შენაერთს დიდი დნობ[ის] წერტილით, უკანასკნელი [გამო]იყენება, როგორც ცხოვრებ[ა]ში; რკინის ლიანდაგის გას[ა]ფენად აგრეთვე სამხედრო სა[ქ]მეში იარაღის შესაქმნელად.

ქიმია აგრეთვე იძლევა წა[მ]ლებს, რომლით იკურნება და[ა]ავადმყოფებული ადამიანი [და] საქონელი (ცხენი, ხარი, ძაღ[]ლი და სხვ.)

ასაფეთქებელ მასალას [და] საწამლავ ნივთიერებას.

მე-XX საუკუნე მეცნიერებ[ის] საუკუნედ ითვლება და ამის[ა]თვის ქიმიასაც, როგორც მეც[ნ]იერებას დაედო ფასი.

ქიმიის შესწავლას ცხოვრე[]ბის აუცილებლობა თხოუ[]ლობს.

ის სახელმწიფო, რომელი[ც] თავის დონეზე დააყენებს ქი[]მიის შესწავლას უკულტურ[ო] ქვეყნად ჩაითვლება, რის სა[]შვალებით უფრო მეტ ბუნებ[ის] საიდუმლოებას გაიგებს და და[]იმორჩილებს მას. ქიმიის გამო[]ყენება შეიძლება სასოფლო[-]სამეურნეო დარგში მიწის გა[]ნოყიერების და მეურნეობი[ს] მავნებლობასთან ბრძოლის სა[]კითხებში.

ქიმია იხსნის ადამიანს მომა[]ვალ ქიმიურ ომიდან სამხედრ[ო] ქიმიურ საქმის შესწავლით[,] თუ გერმანიამ პირველმა იხმა[]რა „ქიმიური იარაღი" გასულ[] იმპერიალისტურ 1914-18 წ[] ომში ეს მისთვის, რომ მა[ნ] თავის დროზე შეისწავლა ქიმია[,] აალორძინა მშვიდობიანი ქი[]მიური წარმოება; გამოიყენ[ა] ომამდე სახელმწიფოს აღორ[]ძინებაში და ომში კი სამხედ[]რო საქმეში მტრის წინააღ[]მდეგ. თუ კი ეს ასეა ქიმია[ს] თანამედროვე ცხოვრებაში დი[]დი მნიშვნელობა აქვს და მო[]მავალ ომში საშინელებას გვ[]პირდება, საჭიროა ეხლავე მის[ი] შესწავლა „რათა ყოველ მხე[]დარმა და მოქალაქემ შესძლო[ს] ომიანობის დროს თავდაცვ[ის] ჩატარება და მეურნეობაში მი[]სი გამოყენება.

მომავალ ომში გადარჩებ[]ის სახელმწიფო და ის მოქა[]ლაქე, რომელიც თავის დრო[]ზე შეისწავლის ქიმიას ცხოვ[]რებაში გამოსაყენებლად და[] სამხედრო ხელოვნებაში ომია[]ნობის დროსაც.

ქ. გამრეკლიძე,

# იარესი და ჰინდენბურგი ერთმანეთს ეპაქტიჟებიან პრეზიდენტობაზე.

სოციალ-დემოკრატების, დემოკრატების და ცენტრის გაერთიანებული ბლოკის მოწოდებაში მარქსის კანდიდატურაზე, წამოყენებულია შემდეგი ლოზუნგი: სამშობლო, ხალხური სახელმწიფო, რესპუბლიკა".

იარესმა მიმართა თხოვნით ჰინდენბურგს „მიიტანოს თავი სამსხვერპლოზე და მიიღოს კანდიდატურა". პასუხად ჰინდენბურგმა მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ არჩევნების „არა საიმედო მომავალმა" დიდსულოვნად ათქმევეს იარესს უარი კანდიდატობაზე.

მემარჯვენე გაზეთებმა არ დაბეჭდეს ჰინდენბურგის ეს უკანასკნელი ფრაზა.

## რუმინეთი იარაღდება.

რუმინეთის მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს ფლოტის ბაზა შავ ზღვაზე კონსტანციდან 14 კილომეტრიი მანძილზე.

მთავრობას გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე გაჰყიდოს წვრილი და იყიდოს დიდი სამხედრო გემები, გადააკეთოს სახელმწიფოს სავაჭრო ფლოტი.

# 1 ქართულ დივიზიის ახ. კ. კ. ორგანიზაცია

დივიზიის მე-4 პარტკონფერენციის მიერ იქნა მიღებული დადგენილებათა მთელ რიგ დივიზიის ახ. კ. კ. წევრთა შორის მუშაობის შესახებ. განსაკუთრებით მიექცა ყურადღება მუშა-კომკავშირელების პარტიაში გადაყვანის საკითხს.

—პარტკონფერენციის შემდეგ, უმთავრესად ახ. კ. კ. შორის მუშაობის ახალი წესდების ცხოვრებაში გატარების შემდეგ, მუშაობა ახ. კ. კ. წევრთა შორის გაცხოველდა. ყველა ნაწილებში დაარსებულია ახ. კ. კ. წევრთა ჯგუფები, რომლის წევრები ჩაბმული არიან აქტიურ მუშაობაში, გაბმულია კავშირი ადგილობრივ ახ. კ. კ. სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ხელმძღვანელობას უწევენ თვით მომქმედ საზოგადოებების მუშაობას და სხვ.

ქვემოდ ჩვენ მოგვყავს დივიზიის ახ. კომკავშირელების შემადგენლობის დახასიათება და ნახევარ წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილებები, რაც უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მიღებული მხედველობაში კომკავშირელთა შორის მუშაობის პროცესში. აქ მოთავსებული ცნობები ეკუთნის ახ. კ. კ. მდგომარეობას გ. წ. 1 ივლისს, შემდეგ ა. წ. 1 იანვრისათვის, რის შემდეგ გვეშლება თვალწინ მომხდარი ცვლილებების სურათი.

**ახ. კ. კ. ყოფნის სტაჟი პროცენტებში.**

| ახ. კ. კ. კავშირში. | 1/VII-1924 | 1/I-1925 | განსხვავება. |
|---|---|---|---|
| 1918, 1919 და 1920 წლ. | 10,8 | 7,8 | —3,0 |
| 1921 წლიდ. | 40,3 | 30,5 | —9,8 |
| 1922 წლ. | 18,6 | 15,6 | —3,0 |
| 1923 წლ. | 27,6 | 35,9 | +8,3 |
| 1924 წლ. | 2,7 | 10,2 | +7,5 |

ე. ი. სტაჟით ორგანიზაცია გაღარიბდა თითქმის 16 პროცენტით. საყურადღებოა რომ 1921 წლიდან ახ. კომკავშირელების რიცხვი შემცირდა 9,8 პროცენტით.

საერთოდ ახ. კ. კ. შემადგენლობის სტაჟის დაკლება ნორმალურია, ვინაიდან კომკავშირელები გადადიან თანდათანობით პარტიაში; მათში „ძველები" უფრო ადრე ვიდრე გვიან შემოსულნი.

**1. სოციალური მდგომარეობა**

| | 1 ივლ. 1924 | 1 იან. 1925 | განსხვავ. |
|---|---|---|---|
| მუშები. | 14,7 | 19,0 | +4,3 |
| გლეხები. | 78,8 | 64,0 | —14,8 |
| დანარჩენი. | 6,5 | 17,0 | +10,5 |

როგორც ვხედავთ საგრძნობლად მცირდება გლეხების რიცხვი, რის ანგარიშში მოიმატა მუშებმა (4,3 პროცენტით) და განსაკუთრებით დანარჩენნი. მიუხედავათ ამისა ეს უკანასნელნი ახკომკავშირელების მთელ შემადგენლობაში შედარებით მუშებთან და გლეხებთან მაინც უმცირესობას შეადგენენ და ორი მესამედი მაინც გლეხებ[ი] ერიან.

ახლა გადავხედოთ წლოვა[ნ]ნებას:

| დაბადებულნი | 1/VII 1924 | 1/I 1925 | განსხვავება. |
|---|---|---|---|
| 1902 წ. და უნცრ. | 68,2 | 86,6 | +18,4 |
| 1901 წ. | 23,8 | 8,3 | —15,5 |
| 1900 წ. და უფროს. | 8,0 | 5,1 | —2,9 |

წლოვანების მხრივ მომხდარი ცვლილება აგრეთვე ნორმალურია, მხოლოდ საგრძნობლად რჩება კიდევ „ხანში შესულ" კომკავშირელების რიცხვი (უდრის 5 პროც.) და ა[მ] უკანასკნელების ახლო მომავალში გადაყვანა პარტიაში ერთ ერთ მორიგ ამოცანად უნდა გახდეს დივიზიის ორგანიზაციისათვის.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

რუდოვსკი.

# პარტიული ცხოვრება.

## 1-ლ ლეგ. უნცროს მეთაურთა სკოლის კომუჯრედი.

ჩვენი სკოლის კომუჯრედი დიდი ხანი არაა რაც დაარსდა, მაგრამ მისი საქმიანობა საკმაოდ ნაყოფიერად უნდა ჩაითვალოს. იმ თავითვე უჯრედმა ახკომკავშირის ჯგუფებთან ერთად ხელი მიჰყო პარტიულსა და კულტურულ საალმშენებლო მუშაობას.

კრებები სისტემატიურად მიმდინარეობს. უჯრედს ყავს ბიურო, რომელიც საჭირო ხელმძღვანელობას უწევს უჯრედის საქმიანობას.

გვაქვს კავშირი ტყავ-ტრესტის მუშების კომუჯრედთან, რომლის წარმომადგენლები სისტემატიურად ესწრებიან ჩვენი უჯრედის სხდომებს და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვა და სხვა საკითხების გადაჭრაში.

ჩვენს უჯრედთან არსებობს აგრეთვე მეორე საფეხურის პარტსკოლა, რომელშიდაც მეცადინეობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

**უჯრედის დამოკიდებულება უპარტიო წითელ არმიელებთან.**

უპარტიო არმიელებში უჯრედი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

უმთავრესად ამით აიხსნება, რომ ღია კრებებს, არმიელები უხვად ესწრებიან. პარტიაში შესვლის მსურველები ძლიერ ბევრია. კომუჯრედს აუარება განცხადებები შამოსდის ამ მიზნით. ამ მოკლე ხანში ახკომკავშირის რიგებში მიღებული იქნენ 8 უპარტიო არმიელები.

უჯრედში ირიცხება სულ 7 კომპარტიის წევრი, 9 კანდიდატი და 40 ახკომკავშირის წევრი.

იმედია მომავალში უფრო გაძლიერდება და გამრავლდება ჩვენი უჯრედი. ამის თავდებია უპარტიოების დიდი ლტოლვა პარტიისაკენ.

პარტკორი დ. ცინცაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

**ჩვენც დავაარსეთ ახკომკავშირელთა უჯრედი.**

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეორე ქართულ დივიზიის პოლიტგანყოფილებაში დავაარსეთ ახკომკავშირელთა უჯრედი, რომლის მეორე ღია კრებაზე გარჩეული და მოსმენილი იქნა მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: 1) მოხსენება კომპარტიის ბოლშევიზაციის შესახებ; 2) განვიხილეთ კავშირში შესვლის მსურველთა განცხადებები და სხვა.

სხდომას დაესწრენ პოლიტგანყოფილების კომკავშირის ყველა წევრები, მსურველი პარტიულები და უპარტიო ამხანაგებიც.

კომპარტიის ბოლშევიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოდიშარიამ. ამავე საკითხის შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. ამხ. პატარაიამ და ადამაძემ.

შემდეგ განვიხილეთ ამხ. ოგანეზოვის განცხადება კავშირში მიღების შესახებ. სათანადო გამოცდისა და შეკითხვების შემდეგ ამხ. ოგანეზოვი, როგორც ახალგაზრდა მუშა და ენერგიული მიღებული იქნა კავშირის წევრად.

სამხკორი გ. არაქელოვი.

## მოსპეთ ნაკლოულევანება
## პური ცუდი გვექლევა.

მეხუთე ლეგიონის არმიელებს ძლიერ ცუდი პური ურიგდებათ. ჯერ ერთი პური ისედაც ცუდი ხარისხის არის და შემდეგ გამოუმცხვარი—ცომი ხომ საშინლად მოქმედობს არმიელების ჯანმრთელობაზე.

ხშირია შემთხვევა, რომ წითელ არმიელები მშიერი რჩებიან, რადგან თუ შესჭამეს ავად ხდებიან.

ამას გარდა პურში ხშირად ვნახულობთ ჰია-მატლებს. ლეგიონის მესვეურებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ მოვლენას. ბოლო მოუღეთ ცუდი პურის დარიგებას.

სამხკორი გ—ტი.

## უსინათლობა გვაწუხებს.

მეოთხე საგაუბიცო ბატარეიაში კვირაში სამი დღე უსინათლოდ ვართ, რაც დიდათ აფერხებს ჩვენს მუშაობას. სინათლე ხშირად შეწყდება მოულოდნელად, ასე რომ თუ მოგვასწრო მეცადინეობაზე იძულებული ვხდებით შევწყვიტოთ. უმთავრესად ბატარეიაში ღამღამობით გვიხდება სხვა და სხვა წრეებში მეცადინეობა და ლენინის კუთხეებში საუბრების ჩატარება.

არა ერთხელ მოგვითავსებია წერილები ამის შესახებ მაგრამ სინათლის ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოწოდებას მაინც არ მოეღო ბოლო. ალბად არსებობს რაღაც გადაულახავი მიზეზები.

საჭიროა ჩამოვსცილდეთ იმ სადგურს, რომელიც დღემდე გვაწვდის სინათლეს და სხვა სადგურს შეუერთდეს ყაზარმა. ეს აუცილებელია თუ გვსურს ლეგიონის ნაყოფიერი მუშაობა და არც ისე ძნელ რამეს უნდა წარმოადგენდეს.

უფროსებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.




## პირველი ლეგიონის პარტსკოლა.

ამ ბოლო დროს ლეგიონში დაარსდა პარტ-სკოლა, რომელზედაც ბიურო კოლექტივის მიერ მიმაგრებულია ხელმძღვანელებათ აქტიური წევრები.

სკოლის დანიშნულებაა გაათამზადოს ჩვენი პარტიული ამხანაგები და მასთან ახალ მიღებული კანდიდატები.

მეცადინეობამ კარგი ნაყოფი გამოიღო. არის ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ მათაც ბოლო ეღებათ.

ასეთი სკოლები ლეგიონში არის სულ სამი. თითო თითეულ ათასეულში. პარტიული წ. არმიელებს ძლიერ იზიდავს აღნიშნული სკოლები და კარგათაც ითვისებენ ლექტორის და ხელმძღვანელის მიერ გადაცემულ თემას. პირველ ხანებში მეცადინეობა სწარმოებდა ლექციური სისტემით, მაგრამ მან ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი და ამის გამო ლეგ. ბიურო კოლექტივმა შესცვალა ეს ხაზი და შემოიღო გაკვეთილების მეთოდი.

სკოლის მიზანია აღზარდოს წითელი პარტიული არმიელები.

უნდა აღინიშნოს, რომ აქაც თავისებურ დაღს ასვამს ის გარემოება, რომ პროგრამაში ნაჩვენები თემის სახელმძღვანელოები ძლიერ ცოტა მოიპოვება ისიც ქართულათ და ეს კი საგრძნობლად აფერხებს საქმეს, რაც იმედია გამოსწორდება მოკლე დროის განმავლობაში.

ს. იმნაიშვილი.

## როგორ მუშაობენ კურსანტები წითელ-არმიელებთან.

**უმწყობრო გუნდი.**

ქ. მეთაურთა სკოლასთან არსებული უმწყობრო გუნდი ეს რამოდენიმე თვეა—გაყოფილია ორ ნაწილად—თვით უმწყობრო, ანუ სამნეო გუნდათ და სამწყობრო გუნდათ.

წინად მათ ერთი პოლიტხელი ჰყავდათ ეხლა აქ ორი პოლიტხელი მუშაობს. მათ ეხმარებათ უფროსი კურსის კურსანტები და მორიგეობით 3—3 კაცი კვირაში ორჯერ ატარებენ პოლიტ-საუბრებს...

წითელ-არმიელებს თუმცა ბევრი სამუშაო აქვთ და იღლებიან, მაგრა ისინი მაინც დიდი ყურადღებით ეპყრობიან პოლიტ-საუბრებს...

მთელი რიგი საუბრების შემდეგ იმართება პოლიტ-ლატარეია.

ასე მოხდა პირველ აპრილსაც. მეორე ასეულის კურსანტები ეწვიენ სამნეო გუნდს. მათ მოიტანეს წითელ-არმიელთა დასაჯილდოებლად რვეულები, ხელსაბანი საპნები, ცხვირსახოცები და ფანქრები... გაიმართა ლატარეია. კითხვები შედგენილი იყო კურსანტთა მიერ—ჩატარებულ საუბრებიდან: „წითელი გვარდიისა და არმიის შესახებ“, „ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ“, „ახალგაზრდათა მოძრაობის შესახებ“ და „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კავშირის შესახებ“.

პასუხებში წითელ-არმიელები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ... იყვნენ სუსტებიც, მაგრამ მოტანილ ჯილდოებს ბეჯით წ. არმიელთა რიცხვი აღემატა და ჯილდოს აღებაზედაც გაიმართა შეჯიბრება...

დარჩა ბატისტის ცხვირსახოცი. აბა, თქვენ ამხანაგო,—ეუბნება კურსანტი წითელ-არმიელს—ერთ კითხვაზედაც მიპასუხე:—ნარიმანოვის დაკარგვა კიდევ რით იყო უფრო საგრძნობი ამიერ-კავკასიისათვის?—ჩვენ ვიცით, რომ ნარიმანოვი მარტო დიდი მებრძოლი კი არ იყო, ის იყო დიდი მებრძოლი კომუნისტიც და კარგი მწერალიც... ადერბეიჯანის ხალხი ჩამორჩენილია და ნარიმანოვისთანა მომზადებული პირები მისთვის მეტად საჭიროა.—სწორია, უპასუხებს გახარებული კურსანტი და აძლევს უკ ნასკნელ ჯილდოს...

ასე დამთავრდა ლატარეია უმწყობროელებთან.

კარგი იქნება, რომ ამხანაგი კურსანტები მასალას საუბრის დროსვე კითხვებად დაჰყოფდენ და წითელ-არმიელები კიდევ—შენიშვნებს გაუკეთებდენ; ეს პოლიტ-ლატარეიას გაადვილებს და მეტ შინაარსაც მისცემს.

ჩვენი.

## ბიბლიოთეკა და წიგნი.

**საბიბლიოთეკო სემინარი**

9 აპრილს დივიზიის ბიბლიოთეკაში შესდგა საბიბლიოთეკო სემინარის მორიგი მეცადინეობა, რომელზედაც ამხ. კ. ლორთქიფანიძემ გააკეთა მოხსენება—საბიბლიოთეკო მუშაობაში—ტეხნიკის გამარტივების შესახებ.

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო ლეგიონებისა და ასეულების ბიბლიოთეკებში კატალოგის საკითხს და გამოსთქვა შემდეგი აზრი:—ლეგიონებში და ასეულებში, ბიბლიოთეკარს მუშაობა უხდება უმთავრესად წითელ-არმიელთა მასაში. ჩვენ, ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა გვიმტკიცებს იმას, რომ წითელ არმიელების მასა სრულებით ვერ ერკვევა არსებულ კატალოგებში-ის მისთვის სავსებით მიუწვდომელია და ბიბლიოთეკარისაგან დიდი შეცდომა იქნება—თუ ის წითელარმიელს კატალოგთან მიუშვებს წიგნის ამოსარჩევად—იმ იმედით, რომ ის საჭირო და შესაფერ წიგნს მოძებნის...არათუ წითელ-არმიელი, ჩვენი ნაწილების უფრო მომზადებულ უფ და პოლიტ შემადგენლობასაც ძლიერ უჭირთ კატალოგში გარკვევა... ერთი სიტყვით, როგორც მასაში მომუშავე ამხანაგების საუბრიდან სჩანს, არც ერთ ნაწილში, სისტემატიურ კატალოგით მკითხველთა თუგინდ 2 პროც. არ სარგებლობს. რაც შეეხება ალფაბიტურ კატალოგს—იგი ბიბლიოთეკარისათვის საჭიროა და ასეთი, მომხსენებლის აზრით საჭიროა იქნეს ლეგიონების ბიბლიოთეკებში—მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ბიბლიოთეკარისათვის მაჩვენებელი.

საბოლოოთ, მომხსენებელის აზრით აუცილებელია, ლოზუნგის—„წიგნი მასებს“ განსახორციელებლად და ცხოვრებაში გასატარებლად წითელარმიელთა ფართო მასა, მიშვებულ უნდა იქნეს ბიბლიოთეკარის თანხლებითა და ხელმძღვანელობით წიგნების თაროზე...

მოხსენებამ გამოიწვია კამათი მეორეხარისხოვან საკითხებში. მთავარ დებულებაში კი, რომ კატალოგით (სისტემატიურით) წითელ-არმიელები ვერ სარგებლობენ-ყველანი ერთი აზრის იყვნენ...

საბოლოოთ, სემინარმა გამოიტანა შემდეგი დასკვნა:-რადგან კატალოგების წერა მოითხოვს ბევრი დროის უნაყოფოთ დაკარგვას ბიბლიოთეკიდან, მით სამხედრო ნაწილებში ვერავინ ვერ სარგებლობს, უკუგდებულ იქნეს და შემოღებული მის ნაცვლათ მხოლოთ ალფაბიტური, როგორც საჭირო სახელმძღვანელო თითონ ბიბლიოთეკარისთვის. რაც შეეხება სკოლების (უმაღლესი) ბიბლიოთეკებს, იქ ორივე სახის კატალოგების შედგენა საჭიროა.

ბიბლიოთეკარი ვალდებულია თავისი სამუშაო საათები მტკიცედ განსაზღვროს და ის დროს, რომელიც კატალოგების წერას უნდებოდა-თავისი „კვალიფიკაციის ამაღლებას მოანდომოს“.

ანზორა.

## სადილი უკანონოთ რიგდება.

**(არტ ლეგიონის მნეს საყურადღებოთ)**

არტლეგიონის 1-2 3 ბატარეიებს და არტ-სკოლას პირველი აპრილიდან ერთად უმზადებენ სადილს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება (ერთი ქვაბიდან რამოდენიმე ასი კაცი იღებს სადილს) თავისთავად ხელს უშლის სადილის კარგად დამზადებას, ხდება კიდევ ერთი უსამართლობა, სახელდობრ, ის რომ, ამ ხნის განმავლობაში პირველად იღებენ სადილს არტ-სკოლის წითელ არმიელები, დანარჩენი ბატარეიები კი რიგში ჩამდგარი უკდიან როდის მისცემენ მათ ნაბოლარა წვენს და ძვლებს. (რადგან ქვაბში კარგი აღარაფერი რჩება.)

რად ხდება ეს? ნუ თუ არტ-სკოლის წითელ არმიელებს არ შეუძლიათ ჩადგენ რიგში (როგორც აქამდის იყო) და ისე მიიღონ სადილი? ან რად უნდა ჰქონდეს ჯარში ასეთ უპირატესობას ადგილი?

ყოველივე ეს იცის უფ-შემადგენლობამ, (ხშირად მიუმართავთ ამის შესახებ მორიგ მეთაურისათვის) მაგრამ ჯერ არავითარი ცვლილება არ მოუხდენიათ.

საჭიროა დაჩქარებით მოეღოს ამ მოვლენას ბოლო და სადილი დარიგდეს რიგის მიხედვით.

სამხკორი ლ—ო.

## ალმასკომო, მოგვაქციე ყურადღება.

საბურთალოზე მყოფ წითელ არმიელებს ხშირად გვიხდება მტკვრის გაღმა ბორანით გასვლა.

დღემდი წითელ-არმიელებს გვახდევინებდენ გასვლაში თითო კაპეიკს, მოწაფეებს ორ კაპეიკს და დანარჩენ მოქალაქეებს სამ კაპეიკს.

ეხლა კი სხვებისათვის დასტოვეს იგივე ფასი, მხოლოდ წითელ არმიელებისათვის კი გახადეს ორი კაპეიკი.

მართალია, ერთის შეხედვით, თითქოს გასვლა-გამოსვლაში ოთხი კაპეიკი არაფერია, მაგრამ წითელ არმიელებისთვის ყოველ დღიურად ამის გაღება ცოტა არ იყოს, გასაჭირია.

ამიტომ ხშირად გვიხდება, ვერის ხიდით მოვლა, ე. ი. მეტი თუ არა, ერთი ვერსი გზის ზედმეტი გაკეთება.

კარგი იქნება ამ გარემოებას რომ მიაქცევდეს ყურადღებას ქალაქის ალმასკომი და წითელ არმიელებისათვის შეამცირებდეს ბორანით სარგებლობის საფასურს.

პარტკორი მიხო—საწირელი.

## ავირჩიეთ დამხმარე საბჭო.

მეხუთე ლეგ. მესამე ასეული.

ასეულის კომუჯრედის ღია კრებაზე, მარტის უკანასკნელ რიცხვებში ავირჩიეთ ნაწილის დამხმარე საბჭო.

საბჭოში წევრად შედიან: ლეჩხუმის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე, პარტკომის მდივანი, განათლების განყოფილების უფროსი, მაზრის მილიციის უფროსი, მაზრის სამხედრო კომისარი და ახკომკავშირის მდივანი.

უჯრედმა დაავალა აღნიშნულ ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ასეულს. საბჭო უკვე შეუდგა თავისი მოვალეობის ასრულებას, რაც ეხლავე დაეტყო ასეულის ცხოვრებას.

საბჭოს დაარსების შემდეგ უფრო მჭიდრო კავშირი გაიბა ჩვენსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის. ასეულის მოწყობისათვის ყოველგვარი ზომები იქნა მიღებული.

აღმასკომის თავმჯდომარე და პარტკომის მდივანი ყოველთვის დაიარებიან ჩვენთან და თვალყურს ადევნებენ ასეულის ყოფა-ცხოვრებას.

ამნაირად ადგილობრივი ხელისუფლება დიდი ყურადღებით გვეკიდება. მეორე მხრივ ჩვენც მთელი ჩვენი ძალღონით მონაწილეობას ვიღებთ ადგილობრივი გლეხობის დახმარებაში.

ტერკორი გ. ყურაშვილი.

## ამხ. ამხ. წით. არ-ბო, გამოიწერეთ თქვენი გაზ. „წითელი არმიელი".

## კლუბი გადახალისდა

მას შემდეგ, რაც პირველი ლეგიონის კლუბის უფროსობიდან მოხსნილი იქნა სიხარულიძე, დიდი ყურადღება მიექცა კლუბის გამშვენიერების საქმეს.

წაშლილი იქნა ყველა არა საჭირო სურათები კლუბის კედლებიდან და იხატება ახალი სურათები.

წინათ არ გვქონდა დეკორაციები, თუ იყო იგიც უბრალო დაუსურათებელი. ძველი კლუბის გამგე ყურებსაც არ იბერტყავდა მათი გამშვენიერებისათვის.

ამ ჟამად მზადდება და იხატება ახალი დეკორაციები კეთდება სკამ-ლოგინები და სხვა მრავალი საჭირო წვრილმანები.

კლუბის გამშვენიერებაში დიდ დახმარებას გვიწევს სამნეო ნაწილის უფროსი.

**წრეების მუშაობა.**

კლუბთან არსებობს მრავალი წრეები. მათ შორის ცუდ პირობებშია მომღერალთა წრე, რომელსაც არა ყავს ხელმძღვანელი.

წრეში ითვლება 70 წითელ არმიელამდე. ისინი ყოველ დღე მოითხოვენ მეცადინეობას, მაგრამ ხელმძღვანელის უყოლობის გამო ეს არ ხერხდება.

პოლიტწრეში 750 წევრია. გვყავს ერთი ხელმძღვანელი, რომელიც, ეხლა ავათ არის. შეგვპირდნენ რომ ხელმძღვანელებს ამ წრეში მალე დაგვინიშნავენ არა ერთს, არამედ სამ-ოთხს, რომ უფრო ნაყოფიერი იქნას მუშაობა.

**ლიტერატურული წრე** მუშაობს და 9 აპრილს აწყობს ქრისტინეს გასამართლებას, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებს ლეგიონის მთელი შემადგენლობა.

**სასპორტო წრე.** შედგენილია ფეხ მობურთავეთა რაზმი, რომელზედაც შეიძლება ითქვას რომ კარგი მომზადებული არიან და სულ მოკლე ხანში შესძლებენ სხვა-და-სხვა ნაწილებთან შეჯიბრებას.

**დრამწრე** ენერგიულად მუშაობს, ამ მოკლე ხანში წრე დასდგამს შილერის დრამას „ყაჩაღებს".

ზემოაღნიშნული პროგრამის ჩატარების შემდეგ დრამწრეს განზრახული აქვს მოამზადოს თანამედროვე ცხოვრებიდან პიესა და ეწვიოს თავისი ძალებით ქართულ ჯარის ზოგიერთ ნაწილებს დაახლოვების სახით. მაგალითად ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სამხედრო სკოლას, ცხენოსან ლეგიონს, საარტილერიო ლეგიონს და სხვა.

**კინო.** რადგანაც კლუბში შეუძლებელია ჯერ-ჯერობით წარმოდგენების დადგმა, კინო სურათების ჩვენება მოეწყო მეორე და მესამე ათასეულის სავარჯიშო მოედანზე. მოაქვთ შინაარსიანი სურათები.

ბზიკი

## ამბები სოფლებიდან.

**ხე ტყის მასალა.** შორაპნის სამაზრო გლეხკომმა უფასოდ დაურიგა ხე-ტყის მასალა თოვლისაგან ბინებ დანგრეულ გლეხებს.

**მოიჯარადრეების მაგიერ.** შორაპნის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ქიათურის სამრეწველო რაიონში მოაწყოს შავი ქვის ნაცხრილების რეცხა, კომუნალური წესით, კერძო მოიჯარადრეებთან ბრძოლის მიზნით.

**მდინარე დურუჯზე.**

თელავის აღმასკომმა დაადგინა შეუდგენ მდ. დურუჯის გამაგრებას სოფ. ყვარელის დასაცავათ.

**დავა წყალსადენის შესახებ.** სოფ. აკურასა და ვანთის (თელავის მაზრა) შორის წყალსადენის გაყვანის გამო ატეხილი დავა, სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. აკურას სასარგებლოთ, რომელსაც გაყავს ეს წყალსადენი.

**ჯარში გაწვეულთათვის.** სოფ. კიცხის (შორაპნის მაზრა) გლეხკომმა დაადგინა მოუხნას ჯარში გაწვეულ წითელ არმიელთა ოჯახებს მიწა.

**სალიტოგრაფიო ქვა.** თელავის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს სალიტოგრაფიო ქვის გაზიდვა ტფილისში და მისი გასაღება ბაზარზე.

**კონტრაბანდასთან ბრძოლა.** ერთი წლის განმავლობაში თელავის სამაზრო მილიციას დაუჭერია 18-ჯერ არაყის და 6-ჯერ თამბაქოს კონტრაბანდა.

**ფოსტა სვანეთში.** ფოსტა-ტელეგრ. კომისარიატმა დაადგინა სვანეთში გახსნას ფოსტა-ტელეგ. განყოფილებები 5 ადგილას.

## ახალი ამბები

— **ღარიბ მოქალაქეთა დასახმარებლათ** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გადასდოს ყოველთვიურად აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულებაში 500 მანეთი.

— **მცხეთის კლუბის** შესანახათ თფილისის აღმასკომმა გადასდო 884 მან.

— **ტრაქტორების მოთხოვნილება.** ა. კ. სახ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით ამიერკავკასიაში წელს დიდი მოთხოვნილებაა ტრაქტორებზე.

— **მეაბრეშუმეობისათვის.** ამ დღეებში ბათომში მიიღებენ იტალიიდან აბრეშუმის პარკის სახმობ მანქანებს.

— **ბორჯომის დასასვენებელ** სახლებში სოც. დაზღვევის სამმართველო ზაფხულში გზავნის 750 დაზღვეულს.

— **სოფლის მუშათა დაზღვევის** ჩატარება გადასწყვიტა სოც. დაზღვევის მთავარ სამართველომ.

— **ქართული ყველი.** ... მოკავშირს გადაწყვეტილი აქვს წელს დაამზადოს 10 ათასი ფუ... თი ქართული ყველი.

— **გურული თამბაქო.** ... მოკავშირმა გადასწყვიტა წელს დაამზადოს 5 ათასი ფუთი გურული თამბაქო, ბაზარზე სანაღდებლად.

**ხელოვნება.**

— **წით.-არმ. ცენტრ. კლუბში.** ხვალ გაიმართება სან... განათლების წარმოდგენა წით. არმიელთა და მუშებისათვის.

— **ფალიაშვილის იუბილე.** ... დღეს სახ. ოპერის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ფალიაშვილის 30 წლის საკომპოზიტორო მოღვაწეობის იუბილე.

## სამხედრო ტრიბუნალი.

11 აპრილს სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა მე-4 ქართულ ლეგიონის წ.მ. შამთავა ანდრო ფაშტია-ძის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვა. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: შამათავა მსახურებდა რა მე-4 ქართულ ლეგიონში, გ. წ. 13 ივლისს თავის ნებით მიატოვა სამხედრო ერთეული და განაგრძობდა დეზერტირობას, სანამ არ იქმნა შეპყრობილი და მიცემული პასუხისგებაში ი. წ. 22 დეკემბერს. გაქცევისას ბრალდებულმა თან წაიღო მასზედ სახმარათ გაცემული სახაზინო ნივთები, რომლისგანაც მას შეპყრობისას აღმოაჩნდა ერთი ცალი ... რანგი და ერთი ცალი ქვე... საცვალი, რაც ბრალდებულს გაუფლანგავს. ტრიბუნალმა უსაჯა მას სასჯელთა შე... თების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით რვა თვის ვადით და ქონების ნაწილის სავალდებულო კონფისკაცია 5 მან. ღირებულობით. მხოლოდ სრ. ... ცაკის ა. წ. 16 მარტიდან ... 13 ამნისტიის თანახმად სასჯელი თავისუფლების აღკვეთისა შეუმცირდა ნახევრად.

გნია.

## საუბარი მესაქონლეობიდან.

**როგორ გამოიცნობა კარგი მეწველი ძროხა.**

ზედმეტი იქნებოდა იმაზედ ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობაში კარგი ჯიშის მეწველ ძროხას.

კარგი ძროხა ყველაფერია ჩვენი გლეხისა და მისი ოჯახისათვის.

კარგი მეწველი ძროხა, თავის ჯიშის მამალ საქონელთან შედარებით, უნდა იყოს ცოტა მოდაბლო; ცური უნდა ჰქონდეს მას დიდი, თასის მსგავსი, სრული, კარგათ განვითარებული და ძუძუს თავები ოთხკუთხედათ ერთი ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებული.

კარგი ჯიშის ძროხის ცური ანუ ჯიქანი გამოწველის შემდეგ უნდა ძალიან პატარავდებოდეს, ნაოჭიანდებოდეს და და დაცარიელებულ ტომარას ემსგავსებოდეს.

როდესაც ასეთ ძროხას ცური რძით ევსება, მას ცურის ნაოჭები ეშლება, უფართოვდება, ცური ებერება, უდიდდება და შიდ ბევრ რძეს იტევს. თუ გამოწველის შემდეგ ძროხის ცური არ პატარავდება და აწერილ სახეს არ ღებულობს, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ იგი ხორცმორეული ან გასუქებული არის და ორივე შემთხვევაში, როგორც რძის მომცემი უვარგისია.

კარგ მეწველ ძროხას ტანი უნდა ქონდეს გრძელი, მენჯი ფართე, კუდუსუნი არა ჩამოგრძელებული, ფეხები სწორი და მუხლებსა და სახტომ სახსრებში უსათუოდ ერთი ერთმანეთისაგან კარგად დაშორებული; ზურგი სწორი—არც აზნექილი და არც ჩაზნექილი, გვერდების წიბოები (ნეკნები) ერთმანეთისაგან დაშორებული —შემორგვალებული, ე. ი. ზევით-ქვეით თავებით შიგნით შეწეული და შუა ნაწილით გარედ გამოწეული, მეთორმეტე და მეცამეტე ნეკნები სამი თითის სიფართით ერთი ერთმანეთზედ დაშორებული, კისერი—წვრილი, თხელი, ნაოჭებიანი; რქები—მოკლე, წვრილი, მჩატე; ყურები—თხელი, გამსჭვრინავი; თავი, ტანთან შედარებით, პატარა, კოხტა, ლამაზი და მოგრძო, ბალანი—მოკლე, რბილი, ბრწყინავი და ტყავი—თხელი, ქონიანი და რაც შეიძლება მეტი რბილი. საზოგადოთ, კარგი მეწველი ძროხა უნდა იყოს ნაზი, მაგარი და ჯანსაღი გარეგანი შეხედულების.

გარდა ჩამოთვლილ ნიშნებისა, კარგ მეწველ ძროხას უნდა ახასიათებდეს კიდევ საშუალოზე ზედმეტად გაუსუქებლობა, მიუხედავად კარგი კვებისა; უკანა ფეხთა შუა მოწველის შემდეგ ცურის ტყავის კუდის რიკისაკენ გაგრძელება, რძით სავსე ცურზე, თხელი ტყავის ქვეშ, მიხოულ-მოხოული სისხლის გამტარებელი მილები; კისერზედ, ყურების შიგნა ზედაპირზე, კუდის რიკზე და ტყავის სხვა ადგილებზე ყვითელი ქერცლი და ბოლოს ცურიდან დაწყებული, მუცლის ორივე მხარეზე, წინა ფეხებისაკენ მიმავალი მსხვილი და შტოებიანი ძარღვები ანუ ვენები, რომლებიც ძროხის ტანში შესავლელ ადგილზე სამი თითის ჩასატევ ჩარღმავებას აკეთებენ.

ეს ძარღვები ანუ ვენები დაახლოვებით მუცლის შუა ადგილზე აპორცვბული ნაწილით თავდებიან, რომელ ნაწილსაც სარძევე სიღრმავეს ანუ უკეთ რომა ვსთქვათ სარძევე ჭას უწოდებენ. ამ ჭიდან გამოდის ის სისხლი, რომელიც ცურში ჩადის და რძეს ამზადებს.

ძროხის რძიანობის გამოსაკვლევად **სარძევე ჭა** უნდა ცერით გავსინჯოთ და რამდენათაც იგი უფრო ღრმა, ფართე და განიერი, ხოლო ძარღვები მსხვილი გამოდგება, იმდენად ბევრი სისხლი შევა ცურში და ბევრი რძე გაკეთდება.

ყველა ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად თუ რძეში ბევრი კარაქიცაა, რაიცა ნოყიერ საკვებზეა დამოკიდებული, და ძროხა ღირებულობით იმაზე მეტ რძეს იძლევა, რაც მის შენახვაზე იხარჯება, ასეთი ძროხა კარგ მეწველი ძროხად უნდა ჩაითვალოს და ჩვენც ასეთი ძროხებისაგან საწველ და სამუშაო საქონლის მოშენებას ხელი უნდა შეუწყოთ.

კ. ფარეიშვილი.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლა...

## განცხადებები.

### ვის აქვს საწინაალმდეგო?

სამხედრო პოლიტიკურ სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კანდიდატობიდან პარტიის წევრად მიღების შესახებ: 1. თელია თეოფანე ალმასხანის-ძე 2. რ... დანაია ვარლამ ნესტორის-ძე 3. ლეკვეიშვილი შოთა ივანეს-...

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ პირებ... შესახებ, გვაცნობეთ ამ მისამართით ერთი კვირის განმავლობაში: თბილისი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა (მინგრელის ყაზარმები).

პ ღ. მდივანი მითაიშვილი.

1. ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტსკოლის უჯრედში შემოტანილია განცხადება ა. კ. კ. წევრის იოსებ მაღალაშვილის მისი პარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. ვისაც აქვს რაიმე საწინაალმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

ავლაბარი, სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

კომუჯრედის პ. მგ. მდივანი მითაიშვილი.

მე-5-თე ქართულ ლეგიონის მე-9-რე ასეულის კ... უჯრედში განცხადება აქვთ შემოტანილი კომპარტიის კანდიდატებათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

**უნცროს მათაურები:**

1. თევდორაძე ვასილი პეტრეს-ძე
2. ჯანყარაშვილი ქრისტეფორე მალხაზის-ძე

**წითელ არმიელი:**

1. სვანიშვილი ვასილი.

თუ ვინმეს აქვთ რაიმე უარყოფითი ზემოაღნიშნულ ... ხანაგების შესახებ გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები 10 დღის განმავლობაში ქ. ბათომი ტფილისის ქუჩა № 41.

პ. მგ. მდივანი: მ. მექვაბიშვილი.